საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- --მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

16 ივლისი 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №231/17-2

-- -- და -- -- 2017 წლის 21 დეკემბრის №- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 10 ივლისის №231/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

2017 წლის 21 დეკემბერს -- -- და -- -- წარმოადგინეს საჩივარი, სადაც აღნიშნავდნენ, რომ 2015 წლის 21 დეკემბრიდან -- საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია სამოქალაქო საქმე -- -- სარჩელის გამო, მოპასუხის - -- -- მიმართ, ავტოფარეხის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე.

როგორც საჩივრის ავტორები აღნიშნავენ, 2 წელზე მეტია ჭიანურდება საქმის განხილვის ვადა, რის გამოც ადგებათ დიდი ოდენობით ზარალი. მათ სასამართლოს არაერთხელ მიმართეს სხდომის დანიშვნის თაობაზე, თუმცა უშედეგოდ.

2018 წლის 28 ივნისს აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით -- -- კვლავ მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს განცხადებით, სადაც აღნიშნა, რომ მოსამართლე -- -- მიკერძოებულად განიხილა მათი საქმე და სასამართლო სხდომაზე მის მიმართ არაეთიკურ დამოკიდებულებას იჩენდა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2015 წლის 31 დეკემბერს, -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის -- -- -- მიმართ, ავტოფარეხის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე. მოსარჩელემ ასევე იშუამდგომლა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2015 წლის 22 დეკემბრის განჩინებით, -- -- შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დაკმაყოფილდა.

მოპასუხემ შესაგებელი -- საქალაქო სასამართლოში წარადგინა 2015 წლის 28 დეკემბერს.

2016 წლის 6 ივნისს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა -- საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 დეკემბრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

-- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 13 ივნისის განჩინებით -- -- შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2016 წლის 12 სექტემბერს -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის თავმჯდომარეს მოხსენებითი ბარათით მიმართა მოსამართლე -- -- სხდომის მდივანმა და მოსამართლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გამო ითხოვა სამოქალაქო საქმე განსახილველად გადასცემოდა კოლეგიის სხვა მოსამართლეს.

2016 წლის 4 ოქტომბერს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. 2017 წლის 12 ივნისს მოსამართლემ მოხსენებითი ბარათით მიმართა სასამართლოს თავმჯდომარეს და განტვირთვის მიზნით მოითხოვა საქმის სხვა მოსამართლისათვის გადაცემა. 2017 წლის 26 ივნისიდან საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2017 წლის 31 ივლისს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საქმის განხილვის დაჩქარება.

2017 წლის 7 დეკემბერს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მესამე პირად ჩართვა საქმეში.

2017 წლის 19 დეკემბერს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს საქმის განხილვის დაჩქარების მოთხოვნით.

2018 წლის 16 თებერვლის საოქმო განჩინებით -- --, როგორც სავარაუდო მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით 10 დღიანი დავა განესაზღვრა სარჩელის წარსადგენად.

2018 წლის 26 თებერვალს -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების: -- -- და

-- -- მიმართ ავტოფარეხის მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით. 2018 წლის 5 მარტის განჩინებით -- -- უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე.

2018 წლის 12 მარტს -- -- კვლავ მიმართა სასამართლოს შეგებებული სარჩელით მოპასუხეების: -- -- და -- -- მიმართ ავტოფარეხის მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით. სარჩელი განსახილველად იქნა მიღებული.

2018 წლის 30 მარტს მოპასუხე მხარემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი.

2018 წლის 24 აპრილს გამართულ მთავარ სხდომაზე მოსამართლემ სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოაცხადა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი; -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა, იგი ცნობილ იქნა -- და -- ქუჩებს შორის მიმდებარე, საკადასტრო კოდით N-- რეგისტრირებულ საერთო ეზოში არსებული N-- ავტოფარეხის მესაკუთრედ; -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2018 წლის 6 ივნისს -- -- სააპელაციო საჩივარი წარადგინა -- საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებაზე და მისი გაუქმება მოითხოვა.

2.2. მოსამართლე -- -- 2017 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით განსახილველად გადაცემული ჰქონდა დაახლოებით - 545 საქმე, დაასრულა - 270 საქმე (49.5%).

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება“.

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის/საჩივრების საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, როდიდან უნდა ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო“. აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებით განმარტებებს არ გვაძლევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, არც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებები იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების შესაძლებლობას.

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

მოცემულ შემთხვევაში, პირველ რიგში აუცილებელია განისაზღვროს, თუ როდიდან უნდა დაიწყოს საქმის განხილვის ვადის ათვლა - როგორც წესი საქმის განხილვის დაწყების თარიღად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს - სარჩელის/შესაბამისი განცხადების განსჯად/უფლებამოსილ სასამართლოში წარდგენის დროს (Poiss v. Austria; 50; Bock v. Germany, 35).

ამასთან, საქმის განხილვის დაწყების შემდეგ იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული სასურველია შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, 55; Papachelas v. Greece, 39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, 72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, 63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, 150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, 103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, 61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს

ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece; 93; Tiece v. San Marino; 31; Suermeli v. Germany, 129.)

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, 43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany; 98).

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე -- -- წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-3[1] პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

2017 წლის 26 ივნისიდან 2018 წლის 24 აპრილამდე საქმეს განიხილავდა მოსამართლე -- --. დისციპლინური გადაცდომის კუთხით მისი ქმედებების შეფასებისას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ მოსამართლე -- -- გადაეცა უკვე გაჭიანურებული საქმე. განსახილველ შემთხვევაში აუცილებელია დადგინდეს, თუ რამდენად შეუწყო ხელი მოსამართლის ქმედებებმა საქმის განხილვის გაჭიანურებას, საქმის განხილვის საერთო ვადასთან მიმართებაში. არსებული მასალებით დასტურდება, რომ მოსამართლემ მისთვის საქმის გადაცემიდან 10 თვეში დაასრულა საქმე. ვადის დარღვევის უმნიშვნელო ხასიათის, ასევე,

ზემოთხსენებული სტატისტიკისა და მოსამართლის დატვირთულების გათვალისწინებით, კონკრეტული საქმის განხილვის ვადები ვერ ჩაითვლება არაგონივრულ ვადად.

საჩივრის ავტორი 2018 წლის 28 ივნისს აღნიშნულ საქმეზე დამატებით წარმოდგენილ განცხადებაში განმარტავს, რომ მოსამართლე -- -- მიკერძოებულად განიხილა საქმე და არაეთიკურ დამოკიდებულებას ავლენდა პროცესის მსვლელობისას მის მიმართ.

ბანგალორის პრინციპების მეორე მუხლის მიხედვით მიუკერძოებლობა არის მნიშვნელოვანი სასამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად განსახორციელებლად; ის ვრცელდება არა მხოლოდ გადაწყვეტილებაზე, არამედ პროცესზეც რომლის შედეგად გადაწყვეტილება მიიღება. ბანგალორის პრინციპების 2.1 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა განახორციელოს მისი სამოსამართლო ვალდებულებანი ფავორიტიზმის, მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გარეშე; ხოლო 2.2 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს რომ მისი ქცევა როგორც სასამართლოში, ასევე მის გარეთ იცავდეს და ამაღლებდეს მოსამართლისა და სასამართლოს მიუკერძოებლობის მიმართ ნდობას, როგორც საზოგადოების, ასევე იურიდიული პროფესიების და მხარეების მხრიდან.

ასევე, მეტად საინტერესოა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარეს (მოსამართლეს) ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პროცესის მონაწილის ან/და სხდომაზე დამსწრის დაჯარიმების ან/და სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ. განსახილველ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებიდან და სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერის დეტალურად მოსმენის შედეგად ირკვევა, ადგილი ჰქონდა მოსამართლე -- -- მხრიდან მხოლოდ სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით -- -- გაფრთხილებას, ამასთან, არც ერთი მხარის მიმართ

მიკერძოების ფაქტი არ გამოვლენილა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15 წევრთაგან 14 ხმით (საქმის უსაფუძვლო გაჭიანურებასთან დაკავშირებით), ხოლო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15 წევრთაგან 15 ხმით (სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევასთან დაკავშირებით) მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №231/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი